

ახალი

სიტყვა

№ 11.

ორკვირეული ქურხალი.

№ 11.

შემდეგი № გამოვა 31 აგვისტოს.

მიიღება ხელის მოწერა სასულიერო მთავრობისაგან დამოუკიდებელ ორკვირულ ქურხალ „ახალ სიტყვაზე.“ ქურხალის მიზანია ჩვენის ეკლესიის ცხოვრების განახლება წმ. სახარების ნიადაგზე და ბრძოლა უსამართლობასთან და ფარისევლობასთან სასულიერო უწყებაში.

ხელის მოწერის ფასი ნახევარის წლით ცხრა მანეთია. ცალკე ნომერი ოთხი აბაზი. რედაქცია სთხოვს სამრევლო საბჭოებს,

შეგნებულ სასულიერო და საერო მორწმუნე პირთა დახმარება აღმოუჩინონ მას ქურხალის გამოწერით და ერთ დროული შემოწირულებით სარედაქციო ფონდისათვის.

ფული მიიღება რედაქციის მოლარე მღისააკ ჩეკურაშვილთან: ტფილისი, ანჩის ხატის ქუჩა, სახ. № 1.

სარედაქციო მასალები და წერილები უნდა გამოიგზავნოს სარედაქციო კოლეგიის რწმუნებულ მღ. ქრ. ციციშვილთან-ტფილისი, კაბგეროვის ქუჩა, № 47. რედაქცია იმავე ქუჩაზე: № 51.

კათოლიკოზ-პატრიარქის უფლებანი.

დღეს კათოლიკოზ-პატრიარქი დროებით აღარა გვყავს. ამიტომ თამამად შეიძლება სჯა-ბაასი მის უზენაეს უფლებების შესახებ, რაც მახლობელ წარსულში სრულიად შეუძლებელი იყო, რადგანაც ზოგიერთი „რევოლიუციონერი ხუცესი“ *) პირადის გავლენის და განდიდების შინით შეპყრობილი, პრესაში თუ საქართველოს ეკლესიის დაწესებულებებში ყოველი ღონის ძიებით ნერგავდა და აწვითარებდა იმპერიალისტურს იდეას, რომ კათოლიკოზ-პატრიარქი საეკლესიო საკითხებში ვი-

თომდა ერთად ერთი და სიტყვა-შეუბრუნებელი მბრძანებელია.

ამ უადგილო და უსაფუძვლო მამიდობამ, როგორც ვიცით, გამოიწვია სრულიად საპართლიანი და ისტორიული პროტესტი საკათოლიკოზო საბჭოისა, რომელიც „ახალ სიტყვის“ მეტე ნომერში იყო დაბეჭდილი.

მაგრამ პრად მოსაზრებებს არავითარი ადგილი არ უნდა ჰქონდეს იქ, სადაც კანონი აშკარა და გამორკვეულია. არსებული კანონი კი - საქართველოს ეკლესიის მართვადამგობის დებულებათა § 11 ამბობს: „კათილიკოზ-პატრიარქი არის პირველი თანასწორთა შორის“. ესე იგი ის არის თავიჯდომარე და ხელმძღვანელი კოლეგიური დაწესებულებათა სხდომებისა, ამ დაწესებულებათა დადგენილების აღმასრულებელი და საერთოდ, ასე ვთქვათ, კანონების უმახლო-

*) ასე უწოდებენ თავიანთ თავს ზოგიერთნი არსებობისთვის მშვენიერად სამღვდელთა.

ბელესი დარაჯი და არა პირად კანონმდებელი, მბრძანებელი და თვით მყრობელი.

საქიროა, რომ ეს ქვეშაობითად ქრისტიანული ძირითადი დებულება ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცდეს ჩვენს ეკლესიაში და არავის—არც მომავალ კათოლიკოზებს და არც მათ ნაზირ-ვეზირებს ამაზე მეტი მადა და სურვილი არ გაეღვიძოს არც ერთ შემთხვევაში.

„პირველი თანახმობა შორის“.

საქიროა, რომ ეს დიადი სიტყვები მუდამ თვალ წინ ედვას კათოლიკოზ-პატრიარქს.

მაგრამ როგორ? აი რა გზით. წინეთ ყველა დაწესებულებაში და სხვათა შორის ყოფილ სინოდალურ კანტორის ზალაში, სადაც დღეს საკათოლიკოზო საბჭოა, თვალ სიწინო აღვილას იდგა ეგრედ წადებული „ВЕРИАТО“ — იმ დროის კანონიერების ემბლემა, ორთავიან არწივით დაგვირგვინებული, სამგვერდიანი ყუთი, რომლის კედლებზედ, როგორც ოდესმე აღთქმის კიდობანში სინას მთის მცნებანი, მსხვილ ასოებით დაწერილი იყო რუსეთის კანონთა კრებულის უმთავრესი მუხლები.

დღეს ეს ხუთი ყველგან განდევნილია, მაგრამ გონივრული და მიზანშეწონილია თვით იდგა, რომ კანონების აღმასრულებელ ორგანოსდა კერძოდ მის თავჯდომარეს მუდამ განუწყვეტლივ ახსოვდეს კანონთა უმთავრესი დებულებანი, ნება უნებლივ თვალ წინ ედვას მამხილებელი აჩრდილი უმომბელ კანონებისა. საქიროა ეკთნაირი „მაგნახარტა ლიბერტატუმი“, რომელიც უაღრესად თავისუფალ ინგლისში ზეპირად იცის ყოველმა მოქალაქემ კაროლიდან დაწყებული მუშამდე.

ამიტომ, ჩემის აზრით, აუცილებელია, რომ საკათოლიკოზო საბჭოში მაინც, სადაც ჩვენს ეკლესიის უმაღლესი საკითხები სწავდება თვით კათოლიკოზ-პატრიარქი თავმჯდომარეობით, სხდომის მაგიდის თავში იდგას ზემოხსენებულ ყუთის რამ მსგავსი და მაგიერი და მასზედა მსხვილ ასოებით ეწეროს, რომ კათოლიკოზ-პატრიარქი არის მხოლოდ პირველი თანახმობა შორის,

საქიროა რომ ეს მოხდეს ეხლავფიერებითა და კათალიკოს-პატრიარქის არჩევნები მოხდებოდეს.

ვისაც არ შეუძლია შეურიგდეს ამ დემოკრატიულ—კოლლეგიურ პრინციპსა, ნუ დაიდგას ყუთსა და ნუ შებლაღავს იმ წმინდა ტახტსა, რომელზედაც ქართველ ერს სურს ბრძანდებოდეს ჩვენის ეკლესიის ხელმძღვანელი, მათ-მთავარი, მეოხი და ყოველ მხრით პირველი თანახმობა შორის და არა აღმოსავლეთის სატრაპი, ბრძანებელი და თვით-მპყრობელი.

დეკ. ილ. შუბლაძე

სარწმუნოება ზნეობა.

(გაგრძელება. იხ. № 9.)

იმპერატორი ტრაიანე საუკეთესო მოქალაქეთაგანი იყო რომის სახელმწიფოში და მის შესახებ ისტორია გადმოგვცემს, რომ 10,000 მონას უნდა ეომნათ, მთელი დღის განმავლობაში და მით ხალხი გაერთოთ. დიდი ზღვარი ჰყოფდა მონებს თავისუფალთაგან. მათ შორის არავითარი ძმური, კაცობრიული კავშირი არ სუფევდა. რაც შეეხება საწყობებს, დავრდომილებს, გლახაკებს, მათი შეწყობა—შებრალება არავის აღონებდა. მათ მდგომარეობის გაუმჯობესობაზე არავინ იტყვიებდა თავს. პირიქით მათ ერიდებოდნენ, 'აძრახისად მიაჩნდათ გლახაკის შეწყობა. რომ შეემჩნია ვისმეს ნაკნობისათვის გლახაკებისადმი გულშემატკიერობა, ვაკიცხავდა სასცილოდ აიგდებდა. „ნუ თუ ისე დეცი, რომ გლახაკებს, მათხოვრებს შენთან მსვლელობა აქვთ და შენგან შემწეობას იღებენ?“ ჰკითხავდა გაბრაზებული. პლატონი სწერს: „ცუდ სამსახურს უწევენ გლახაკებს, ვინც მათ შემწეობას უჩვენენ. რადვან ამით მათ მდგომარეობას ხანგრძლივით ჰყოფენო.“ პლატონი, ეს გამოჩენილი ფილოსოფოსი იმ დროისა, ამბობს: „გლახაკები განდევნილნი უნდა იყვნენ სახელმწიფოდგანო“. ებრაელები კიდევ იმას ამბობდენ, რომ გლახაკები, მახინჯები ღვთისაგან არიან დასჯილნიონ თავის, ენ დედამისის ცოდვების გამო; ამისა-



თვის ღირსნი არ არიან კაცმა ისინი შეიწყა-
ლოს და მათ შემწვობა აღმოუჩინოსო. ახლა
ოჯახში ცოლქმარ შუა, შვილებსა და დედმა-
მას შუა რა დამოკიდებულება იყო? ქმარი ბა-
ტონათ ითვლებოდა, ცოლი მისი მხვეალი
(მონა ქალი) იყო. როგორ შეეძლო ცოლს
რაიმე წინააღმდეგობა გაეწია ქმრისათვის?
ქალს არ ჰქონდა უფლება არამც თუ საზოგა-
დო საქმეებში, არამედ თავისი ოჯახის ასე,
თუ ისე, მოწყობაში რაიმე მონაწილეობა მიე-
ღო და თავისი აზრი გამოეთქვა. ასე გასინ-
ჯეთ, მამაკაცთან ჯდომა, მასთან ერთად პუ-
რის ქამაც არ შეეძლოთ დედაკაცებს, ნამე-
ტურ თუ ვინმე სტუმართაგანი, გარეშე კაცი
შეესწრებოდა. ქმრებს უფლება ჰქონდათ, როცა
მოინდობებდნენ, თავიანთი ცოლები გაეგდოთ
შიშველ-ტიტველნი, მშიერ-მწყურვალნი დაე-
გდოთ. შვილების შესახებ მამას დიდი უფლება
ჰქონდა მინიჭებული. თუ უნდოდა, გაზღდა,
თუ არა, ნება ჰქონდა გადაეგდო და ვინც მას
აიყვანდა, როგორც უნდოდა, ისე მოეპყრო-
ბოდა სახელმწიფო კანონები არამც თუ სჯი-
დნენ მკაცრ, სასტიკ დედმამას, პირიქით ხელს
უწყობდნენ. ლამაზ—სალ ბავშვებს ინახავდნენ
და ზრდიდნენ, სუსტებს, მახინჯებს კი ყრი-
დნენ, ვითომც კატის კნუტება იყვნენ. ამა-
ირი ჩვეულებების წინააღმდეგ სრულებითაც
არ იღებდნენ ხმას იმნაირი გამოჩენილი ფი-
ლოსოფოსებაც კი, როგორც იყვნენ არისტო-
ტელი და პლატონი, რადგან მათის და სხვე-
ბის მოსაზრებით, მამულის მტრისგან დასა-
ცველად სუსტი კაცი ვერ გამოადგება, საქაროა
ჯანსაღი მეომარი, მხედარი. ასე იყო მაცხო-
ვრის ქვეყნად მოსვლამდის.

(შემდეგი • ქნება). ბაჯითელი.

კიდევ ჯილდოებზე.

გოტენტოტებს, ბუშმენებს, ამერიკის
წითელ კანიანებს და ბევრ სხვა ველურ ხა-
ლსს, როგორც ეთნოგრაფები და მოგზაურე-
ბი მოგვიხსნობენ, ძალიან უყვართ, თურმე,
წითელ-ყვითელი ზიზილ-პიპილები და ევრო-
პელები, როცა მათი გულის მოგება უნდათ,

თან წაიღებენ და დაურიგებენ ხოლმე ასეთ
ქრელა-კრულებს. რუსეთის ბიუროკრატი-
ამაც სწორედ ასეთის საშუალებით დაიმონა
უზარმაზარ იმპერიის გოტენტოტები—სხვა
და სხვა ჯურის მოხელეები: საერონი, სამხე-
დრონი და სასულიერონი. ნიკოლოზ II და-
ბადების, სახელწოდების, ან ტახტზე ასვლის
დღეებს დიდს გულის ტოკვით და სასოებით
მოელოდა მოხელეობა—დიდი და პატარა—
რომ მთავრობის უწყებებში ამოეკითხა და-
ჯილდოებულთა სიაში თავისი გვარი და სა-
ხელი. მოსამართლე ექიმი, აფიცერი, მღვდე-
ლი, ეპისკოპოსი, მიტროპოლიტი, მინისტრი,
ვაქარი—ყველა მოელოდა ამ დღეებში გაბე-
დნიერებას. საფიქრებელი უნდა ყოფილიყო,
რომ სასულიერო პირთ მაინც ნაკლებად უნ-
და ჰქონებოდათ ტრფიალება გოტენტოტურ
ზიზილ პიპილებისა, მაგრამ წამდვილად სულ
სხვა იყო. კერძოდ ქართველ სამღვდელთებს
დიდი და მხურვალე სიყვარული ჰქონდა ჯი-
ლდოებისა. მოწამე ვყოფილვარ იმ ფაქტისა,
როცა ტფილისის სამხედრო ტაძარში 14
მაისს, ნიკოლოზის ტახტზე ასვლის დღეს
ქართველი მღვდლები სახე გაბრწყინებულ
ულოცავდნენ ერთმანეთს ჯილდოს იღებებს.
რა საცოდავად, საბრალისად გაუბედურე-
ბულად მიაჩნდათ მათის მღვდელი, რომელიც
ასეთს დღეს ვერ დაიმსახურებდა მთავრობის
მოწყალებას!

მოხდა დიდი ომი, ამას მოყვა რევოლიუ-
ცია. საზოგადოებრივმა ჯგუფებმა და ცალკე
პირებმა სულ ახალი აზრები შეითვისეს. ბე-
ვრი ძველი წესი იქნა დაგმოხილი. საქარ-
თველოს ეკლესიაც აქ უმაგალითო მიხლა-
მოხლამ გაანთავისუფლა რუსეთის სინოდის
და მთავრობისგანაც. მაგრამ თავისუფალ სა-
ქართველოს ეკლესიაში თავისუფალსა და
სალ აზროვნობას, ქრისტეს მცნებაზე დამყა-
რებულს, ვერ ვხედავთ. მონები ვიყავით, მო-
ნებადმე დავჩინეთ. ტრფიალება ჯილდოები-
სადმი უფრო გაძლიერდა. შესაძლებლობა ჯი-
ლდოს მიღებისა სულ გაადვილდა. ძველად
თუ ეგზარხოსსაც კი ეთაკილებოდა ზოგიერთ
მღვდელთა დაჯილდოება მათის შეუსაბამობი-
საგამო და ხშირად მათ მედავითნეობაზედ ჩა-

მოიყვანდნენ და მონასტერში გზანიდნენ, ახლა, საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის ეამს, ასეთ პირთ აჯილდოვებენ და მათ ნაკარნახევს და უკანონო წერილობით დღეგენილებებს ყურს უგდებენ. ერთმა უსწავლელმა, მხოლოდ წერა-კითხვას მცოდნე, მღვდელმა ამა 1918 წლის მაისში მიიღო დეკანოზობა და ივლისში, რაღაც ერთი თვის შემდეგ, დაჯილდოვებულ იქნა ენქერით. მეორე მღვდელმა თებერვალში მიიღო ენქერი და ივლისში მოითხოვა მიტრით დაჯილდოვება. მესამე მღვდელს ერთ და იმავე დღეს უთავაზეს ოქროს ჯვარი და დეკანოზობა. აქ უკვე ჩვენი ეკლესიის თავისუფლება კი არა სჩანს, არამედ თავისუფლება და თვითნებობა ჯილდოს დამრიგებლებისა. აქაო და სინოდი აღარ მყავს ბატონად და რაც მენებება, იმას მოვიქმედებო.

რა დეაწლი მიუძღვისთ ამ სულიერთ ისეთი, რომ ასე ზედი-ზედ აჯილდოვებენ მათ? განა თვით ეს გვამნა მოინდომებდნენ ამ ჯილდოებს და ხვეწნა-ღრეჯას დაუწყებდნენ ამა თუ იმ თავისს უფროსს, საეკვო ზნეობისას, წამადგინე ჯილდოზედაო, — რომ მათ, ჯილდოსმამიებელთ, მოეძებნებოდეს ერთი ბეწო სინდისი, პატიოსნება და საზოგადოებრივ საქმის სიყვარული? და ასეთ პირთ სასულიერო ჩვენი მთავრობა აქეზებს იმიო, რომ ურიგებს ჯილდოებს დაუმსახურებლად, რომ ამით სხვებშიაც აღძრას სურვილი მათის მიღებისა, რომ სასულიერო უფროსებს მტხლები ულოკონ, შენი ქირიმე, მეც მიწყალობე ასეთი სანუკველი, ბედნიერების მომნიქებელი ჯილდოებო. ეს არის გათახსირება და ზნედაცემულება დიდისაც და პატარისაც. ეს არ უანდერძებია ჩვენთვის ქრისტეს და იმის წმიდა მოციქულებს. განა ამისათვის გვინდოდა ჩვენ საქართველოს ეკლესიის თავისუფლება? განა იმისათვის გვიხაროდა სინოდისაგან განთავისუფლება, უღირსები თავისუფლად აჯილდოვონ ქართველმა მღვდელმთავრებმა რუს ეგზარხოსის და სინოდის მაგივივრად? ნუ — თუ ჩვენი ხელით ნაკეთები სიგლაზე დეაწლია და რუსის ეგზარხოსისაგან ჩაღენილი კი დასაგმობია მხოლოდ იმისათვის

რომ ისინი რუსები იყვნენ? და ეს ხომ აწკარა და ცხადია და ყველას გასაგონად ვიტყვით ამას, რომ ის უღირსნი და ადამიანობას მოკლებულნი პირნი, რომელნიც ამ ბოლო თვეებში იქნენ დაჯილდოვებულნი ტფილისში, თავისს დღეში ვერ ეღირსებოდნენ დაჯილდოვებას ეგზარხოსების დროს? ავილოთ თუნდა ის პირნი, რომელზედაც ზევით გვქონდა საუბარი. ერთს არ აკმარეს მაისში მიღებული დეკანოზობა და დაჯილდოვება ერთი თვის შემდეგ ენქერით, მეორეს არ აკმარეს თებერვალში, ვინ იცის რა საშუალებით მიღებული ენქერი და ორიოდ თვის შემდეგ მოუნდომეს მიტრით დაჯილდოვება. მესამეს ორი ჯილდო ერთ დღეს მიცეს. რა ამაგი მიუძღვის ამ პირთ საქართველოს ეკლესიისა და ერის წინაშე? განა საკმარისია რუსის ჯარის ეშეღონებს ჩამორჩენილ უადგილო პოლკოვნიკ-გენერლებისაგან შეთხზული ატტესტაციები ამა თუ იმ მღვდლის „საგმირო საქმეთა“ შესახებ, რომ ჩვენმა სასულიერო მთავრობამ ასეთ მოცლილ ხალხის ნაჯდბანს ყურს უგდოს? ან რა კავშირი აქვს რუსის ჯარების ყოფილ უფროსებს, ამ ჯარში ზოგიერთ ქართველ მღვდლის ფრიად საეკვო მოღვწეობას და საქართველოს თავისუფალ ეკლესიას? განა ახლად ენქერით დაჯილდოვებული და მიტრისათვის ვინმზადებული მოძღვარნი რითიმე სჯობიან ბევრს ჩუმ მუშაკ მოძღვართ რომელიმე საქართველოს კუთხისას, რომელნიც არავის არ აწუხებდნენ და არ ეღრიჯებიან ჯილდოსათვის და ბევრი მათგანი თეთრ ჯვარს ატარებს და სრულებითაც არ არიან ამით დალონებულნი? მე ვიცი ასეთი მოძღვარნი, რომელთა ფრჩხილიც კი სჯობია ნახსენებ დაჯილდოვებულ პირთ, ქართლშიაც, კახეთშიაც, იმერეთ-რაქაში და გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-სვანეთშიაც. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მღვდელმთავრებს ეცოდინებათ მეტი რიცხვი ასეთის მღვდლებისა. აწნაირად, ლოგიკა მოითხოვს ყველა იმ დაჯილდოვებულ მღვდელთა უმჯობესნი (და მათ ყველანი სჯობიან, რადგან ისე თავებდურად არ ეძებენ ჯილდოს) უნდა დაჯილდოვებულ იქნენ მიტრებით. მაშინ

საქართველოს ეკლესია პირველობას მიიღებს ყველა სხვა ეკლესიებთან შედარებით.

არ შეგვიძლია არ მიუთითოთ ჯილდოების მოტრფილეთ და მათ ხელის შემწყობთ შემდეგზე მიხედეთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას, რადგან სახარება აღარ გახსოვთ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“ და სხვა... ჩვენმა მთავრობამ საერო მოსამსახურეთათვის უბრალოდ და ადვილად მოსპო ყოველივე ჯილდო: კოლმეფსკი, გუბერნსკი, სტატსკი და სხვა სოვეტნიკობა. ჯერ არ გავიგონია, რომ რომელიმე მოხელე დაეჯილდოვებოდა ჩვენს მთავრობას. სირცხვილი სასულიერო პირთ, რომ ვერც თვით შეითვისეს სახარების აზრი და სული და ვერც საერო მთავრობისაგან გაღმოდეს კეთილი მაგალითი.

საკათოლიკოსო და საეპარქიო საბჭონი და ჩვენი მღვდელმთავრები მოვალენი არიან სერიოზული ყურადღება მიაქციონ ჯილდოების მიძიებელთა და დამრიგებელთა დოდს; ან სულ მოსპონ ჯილდოები, ან რაიმე წესი შეიმუშაონ მათ დარიგება-მიღებისათვის. ამას გარდა, თუ დარჩება მაინც რაიმე ჯილდო, მისი გაცემა მიენიჭოს მხოლოდ საკათოლიკოსო საბჭოს საეპარქიო საბჭოებთან წარდგენილებით. ამით მღვდელმთავრებიც ასცდებიან ბევრ პირად უსიაშოვნებასაც და ჯილდოს მიცემაც იწარმოებს ერთის საზოდა არა შეჯიბრებით. საქართველოში მიწერმოწერა ადვალთი და ჩქარია, რადგან დიდი არაა ჩვენი ქვეყანა, თუმცა ამ საქმეში ცოტა დაგვიანებითაც ქვეყანა არ დაინგრევა. ვიმეორებთ, დღევანდელი წესებით ჯილდოების დარიგებისა ირყვნება მთელი სამღვდლოება და მისი სამწყსოც.

რიონისპირელი.

უგუწურობა თუ სულმდაბლობა.

მოულოდნელი და ბურუსით მოცული აღსასრული განსვენებულ კათოლიკოს კირიონისა ზოგიერთებმა გამოიყენეს თავის უგუწურობის სადემონსტრაციოდ. ასეთ პირებში

საპატივო ადვალთი დაიკავა ნიკიტა თალაქვაძემ. მან და მისმა კომპანიამ მოინდომეს თავის მტრების შემუსვრა და მოხსნეს პირი ტყუილისა და პროვოკაციის გუდას. განსვენებულის სიკვდილი ზოგთ აუხსნეს თვით მკვლელობად და ზოგთ მკვლელობად, იმისდა მიხედვით, სად და ვისთან როგორც დაინახავდნენ მოსახერხებლად. მ. თალაქვაძე თავისს, ჩვეულებრივად ვაბერილს, სიტყვაში სიონის გალავანში 7 ივლისს ამტკიცებდა, რომ განსვენებულმა თავი მოიკლა „ახალ სიტყვის“ გამოვო. ჩვენ ასეთი აზრი მიგვაჩნია კათოლიკოს კირიონის უადრეს დამცირებად. მართალია ჩვენ აღვსახვადით ხოლმე განსვენებულის შეცდომებს მაგრამ, იგი მაინც მიგვაჩნდა ზნეობრივად გაცილებით მღლა იმ პირებზე, რომელნიც მას მისდა საბედისწეროდ გას ეხვია და რომელთაც ვერ მოიშალეს განსვენებულის სახელის ბოროტად ხმარება იმის სიკვდილის შემდეგაც. „ახალ სიტყვისა“ გამო რომ თავი მოეკლას კათოლიკოს კირიონს, ამას უგუწურების და პროვოკატორების მეტი არავინ იტყვის. „ახალმა სიტყვამ“ მ. თალაქვაძეზედაც მოათავსა ზოგიერთი რამ მისს უკეთურობისა, მაგრამ მას არ მოჰკლებია ამით არც ფერი და არც წონა.

მ. თალაქვაძემ გაატარა თავისს გზადაბნეულ სიტყვაში პარალელელი ილია ქავჭავაძისა და კირიონის აღსასრულში. აქ უნდა განვმარტოთ, რომ ეს შედარება ვერ არის მოხერხებული. ილიას თავი არ მოუკლავს, და „მოგზაურს“ კი გასცა თავისებური დასაბუთებული პასუხი. ამ შედარების შესახებ სხვას არას ვიტყვი... სამარცხვინოა, რომ იგივე პირნი, როცა დასკირდებათ, აჯერებენ ხალხს, რომ კათოლიკოსი მოჰკლესო. რომ ჰკითხვენ ვინაო, არ ვიცითო უპასუხებენ.

✓ გამოძიებამ და თვით არქიმანდიტრმა ტარასიმ, კირიონის ერთგულმა კაცმა, დაამტკიცეს, რომ მარტყოფის მონასტრის იმ სახლში, სადაც მიიცივალა კირიონ კათოლიკოსი, მისს მიცვალების დამეს გარდა კათოლი-



ქართული
საზოგადოებრივი
აღმსრებლები

კოსისა და ტარასი არქიმანდრიტისა, არავინ არ ყოფილა, და კათოლიკოსი განგმირული იყო იმ რევოლუციის ტყვეით, რომელიც თვით მას ჰქონდა თანა. აქედამ ცხადია, რომ უცხო კაცი, კიდევაც რომ შესულიყო სადგომში მოსაკლავად, იმის იმედზე არ დაემყარებოდა, რომ კათოლიკოსს თან რევოლუციური ექნება და იმით მოვკლავ მასაო.

მ. ნიკიტას და მისს მეგობართა მიზანი იყო წყალი აემღვრიათ და მეტე თვითონ ექირათ თევზი უნდოდათ ჩირქი მოეცხათ უღანაშაულო პირთათვის და ამით თავი თვისი აემალღებიათ საზოგადოების თვალში. განსაკუთრებით სამი დეკანოზი მიაჩნია მ. ნიკიტას თავის განდიდების დამაბრკოლებლად. რომ ისინი არა, ნიკიტა პირველი კაცი იქნებოდა. აი ამისთვის ედება ლობე-ყორეს, ისვრის აბდა უბდის შადრევანს, რომ როგორმე ეს პირნი ჩამოიცილოს გზიდან. მაგრამ დავარწმუნეს მ. ნიკიტას, რომ ამ კაცებს აზრდაც არ აქვთ ხელი შეუშალონ მას დიდების გზაზე იაროს; ეს კია, რომ თავისს მართლა სასარგებლო მოღვაწეობას თავს ვერ დაანებებენ ნიკიტას ხათრისათვის...

ბოლოს უნდა აღვნიშნოთ ის უმსგავსობაც, რომელიც ნ. თალაქვაძის მეთაურობით მოახდინეს საკათოლიკოსო და ანჩის ხატის ტაძრებში. რომელი მღვდელიც თავის ბანაკში არ მიაჩნდათ, მათ ეკალესიაში განსვენებულ კათოლიკოსის პანაშვიდზე არ უშვებდენ და რუს „პატრიოტ-სოიუზნიკებისებრ“ შავრაზმულ და პოგრომულ სიტყვებს ამბობდენ. ერთი მოძღვარი, პანაშვიდისათვის შემოსილი, იძულებული ჰყვეს პანაშვიდს არ დასწრებოდა, შესამოსი გაეხადა და ტაძრიდან წასულიყო. ასე ქრისტიანულად სცეს პატივი განსვენებულ პატრიარქს კირიონს, რომლის სულიც, ვფიქრობთ, სწუხდა იმ ღრიანცელისა და განგაშისა გამო, რომელიც განსვენებლის საეკვო მეგობრებმა და პატივისმცემლებმა გამართეს ათი დღის განმავლობაში იმის გვამის გარეშე, რომელიც არ მოასვენეს და ერთი ეკლესიიდან მეორეში გადაჰქონდ-გადმოჰქონდით.

ზემო ხათქვანით აღვნიშნეთ მ. ნიკიტას საქციელი, რომ საზოგადოებამ და სამღვდლოებამ იცოდეს მისი „ღვაწლი“ და შესაფერი მსჯავრი დასდოს მას. იმ პირთა მაგიერ კი, ვის დამცირებასაც ამაოდ სცდილობდა მ. ნიკიტა, მოვახსენებთ მას: უფალო, მიუტევე მას, რათგან არა უწყის, რასა იქმს და იტყვის...

ჯაჭვადე.

ზ რ ე ს ს ა.

გაზეთი „ერთობა“ (№ 163), აღწერს რა ბოლშევიკების ყაზბეგზე გალაშქრებას, აღვნიშნავს დიდ ღვაწლს, რომელიც საქართველოს წითელ გვარდიელების აქ გამარჯვებაში მიუძღვის ადგილობრივ მღვდელს მ. ბართლომე ლუღუშაურს, სხვათა შორის სწერს შემდეგსა:

„ეს (ლუღუშაური) ის მღვდელია, რომელსაც ერთ ხელში ჯვარი უჭირავს და მეორეში ხმალი და ამ ხმალს მაშინ ხმარობს, თუ ვინმე წმიდა ჯვრის შებღალვას მოისურვებს. ეს ის მღვდელია, რომელიც წმიდა ჯვრით სამშობლოს ლოცულობს და ხმლით სამშობლოს მტერსა მტრობს“...

ჩვენის მხრით დავძენთ: მადლობა ღმერთს, რომ საქართველოს განახლებულ ეკლესიაში აქა-იქ ისევ გამოჩნდენ ძველ საქართველოს სახის მოძღვრები!

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“-ში ვინმე ერის-კაცი სწერს (№ 1):

„საქართველოს რესპუბლიკის ჯარების ნაწილებში მღვდელთა გამწესების დროს საჭიროა მიექცეს ყურადღება კანდიდატის როგორც გონებრივს, აგრეთვე ზნეობრივ მხარეს. სამხედრო მღვდელს უმკველად უნდა ჰქონდეს განათლება საშუალო სკოლისაზე არა ნაკლები. ეს მოთხოვნილება თავისს თავად ცხადია. ყოვლად მოუხერხებელი და შეუწყნარებელია, მხოლოდ უბრალო წერა-კითხვის მცოდნე მღვდელმა ღირსეული ურთი-ერთობა იქონიოს ჯარის კაცებთან და მათ უფროსებთან.“



უფრო მნიშვნელოვანი თვისება სამხედრო მღვდლისათვის არის ზნეობრივი სიჯაჭიზე და სიყვარული ხალხის და სამშობლოსადმი. რასაკვირველია ამ მხრივ უფრო ძნელია სასურველ კანდიდატის მოძებნა.

ამდენხანს სამხედრო ქართველი მღვდლები სრულებით არაფრით არ ჰხატავდენ თანაგრძობას ქართულ საზოგადო საქმეებისადმი, მიუხედავ იმისა, რომ ისინი ნიჭიერის მხრით პირდაპირ კეთილდღეობაში იყვნენ შეღარებით ქართველ სამრევლოების მღვდლებთან. გადაავლეთ თვალი წერაკიხვის ან ისტორიულ ეთნოგრაფიულ საზოგადოებათა წევრთა სიებს და იქ აღმოჩნდება, რომ სამხედრო მღვდლები თითქმის სრულებით არ სწყალობენ ქართულ საქმეებს, მაშინ როდესაც ამ სიებში თქვენ შეხედებით ნაკლებად უზრუნველ ყოფილს სამრევლო მღვდელთა სახელებს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მოთხოვნაში სამხედრო ქართველ მღვდლებს, ერთის გარდა, არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ. ახლა კი ყველა რადიკალობს, დემოკრატობს და მეუსაცსჩადის... ძველი ქართველი სამხედრო მღვდლები და ყველა „დამსახურებულნი“ არ გამოდგება ქართველ ჯარისათვის უკანასკნელისათვის უნდა იყვნენ არჩეული გონებრივ-ზნეობრივად ღირსეული პირნი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ჯარში სულიერ სიმტკიცის შეტანას და მით ხელს შეუწყობენ საქართველოს რესპუბლიკის კეთილდღეობას და ძლიერებას“.

სრული ქეშმარიტებაა. მხოლოდ რუსეთის ჯარების ზოგიერთ ქართველ მოძღვართა დახასიათებას სრულსაყოფელად დავუმატებთ, რომ იგინი არამც თუ ქართულ საქმეებს არ უწყობდენ ხელს, არამედ ქართულ გაზეთებსაც არ კითხულობდენ; ზოგმა მათგანმა ქართულიც კი დაავწყა შვილებს და სასწავლებლების უფროსებს სთხოვდენ, ჩვენ შვილებს ქართულს ნუ ასწავლითო. თვით სამხედრო მღვდლობის ადგილიც ბევრს მათგანს პრო-

ტექციით და პეტროგრაღში სქელი ქისით მოგზაურობით და პროტოპრესვიტრის სეკრეტართან დიპლომატიურ მოლაპარაკებით მიუღიათ. ასეთ მოძღვართ ამ ომიანობის გამსიემატენ ხსლები, რომელთაც მიატოვეს თავისი ცხოვარნი (მრევლნი), ჯლაგ-ალაგ კადეც გაპყიდეს მრევლი და გაეშურენ ფრონტზე ოც მანეთიან ადგილის ექვსას მანეთიან ადგილზე გასაცვდილად. ზოგ მათგანს, წერაკიხვის ხეირიანად უცდდინარს, ჰგონია ახლა რომ საქართველო ფეხ-ქვეშ უნდა დაეგოს მათ, რადგან ორდენები ჩამოხიდეს გალიციისა და სხვა ფრონტებიდან... დროა დიდი ცოცხი ავიღოთ ხელში...

ბ. ლადო ბზვანელი ასე ახასიათებს ღღევანდელ ჩვენ გლეხკაცებს („სახ. საქმე“ № 286):

„სოფელი გამდიდრდა, ნიკოლოზის დროის ფულებით მცხოვრებნი ქოთნებს სტენიან ახალ ფულებს იწუნებენ და აღარ ღებულობენ, შვილების აღზრდა უნდათ, სკოლებში აგზავნიან, მასწავლებლისათვის კი ფქვილი და შეშაც აღარ ემეტებათ, მათ რომ შეგნება მისცათ, სანამ ახალ სახელმწიფოში წესიერება დამყარდებოდეს და ფინანსების საკითხი მოწესრიგდებოდეს, მთავრობას დაეხმარებიან და თვითონ იკისრებენ თავიანთ შვილების მასწავლებელთა შენახვას დროებით, მაგრამ, როგორც მოგახსენეა, ხალხი უკუღმართ გზას დაადგა, სინდისი და სარწმუნოება აღარ არის. ყველაფერს ანგრევს, აფუქებს და პირველ ყოფილ ადამიანის ცხოვრებას უახლოვდება.“

სოფლის ხალხმა ინტელიგენციასა და თავის მოამაგეს პირდაპირ ბრძოლა გამოუცხადა, სცდილობს სიმშლით შეაწყუბოს: უსაყვედურებ თუ არა ასე უნამუსოდ ფასების აწევის შესახებ, ის მაშინვე ფეხსა-

ცმელებისა და ჩითის გაძვირებაზე დაგიწყებს ლაპარაკს, თითქო ჩვენი ბრალია, რომ მტერმა ფაბრიკები გაანადგურა, ტყავი და ჩითი არ იშოვება. მათ თავისუფლება უკუღმა შეიგნეს და როგორც პარადათ მიუხდებათ, ისე მოქმედობენ. უკეთუ დღევანდელმა მთავრობამ პრაქტიკული საშუალებები არ გამოიხსნა მალე, თან და თან კულ მდგომარეობაში მიდის ჩვენი ქვეყნის საქმე არა მარტო პოლიტიკურ ეკონომიურის, არამედ გონებრივ-ზნეობრივ მხრითაც.“

ბ. ლაღო ბზვანელი დაკვირვებული მეთვალყურეა ჩვენის დუხჭირ ცხოვრებისა. იგი სამართლიანად აღნიშნავს, რომ სარწმუნოების შესუსტებასთან ხალხში შესუსტდა ზნეობრივობაც. ეკლესიის აბუჩად ავდება სახელმწიფოსაგან კიდევ უარეს ნაყოფს გამოიღებს..

ს ა ჭ ი რ ო ა.

ჩუხეთის ასი წლის მფლობელობამ თავისი დალი დასვა ჩვენი ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს. წარბოცვა ამ დაღისა, რასაკვირველია, ერთბაშად შეუძლებელია, მაგრამ ნელ-ნელა რომ შეეუდგეთ ამ დაღის მოშლას, არც უბრალო იქნება და არც მეტი.

ამ მცირე შენიშვნით მე მსურს ივაჭიო „ახალი სიტყვის“ პატივცემულ მკითხველთა გულის ყური ქართულ ეკლესიების სახელს გამოცვლას რუსთა მიერ

ქართლ-კახეთი არის მრავალი ეკლესიები, რომლებსაც ვერი უწოდებს დღესაც **ღვთაების** ეკლესიებს. ამათი დღეობა, ე. ი. დღესასწაული, დამისთვის და ლხინთ მლოცველთა მიერ სრულდება **მაცხოვრის** ამადღების დღეს. სინოდის კანტორის მიერ აცემულ დოკუმენტებით კი ეს ეკლესიები იწოდებიან **მაცხოვრის ფერიხცვალების ეკლესიებად**, — ოდიკებში, მეტრიკებში. საჭიროა ჩემის აზრით, მათ ისევ დაუბრუნდეს ადელი სახელი, რომელიც ეწოდებოდა ქართველ ერის და ეკლესიის დამოუკიდებლობის დროს — **ღვთაების ეკლესია** (მარტყოფის წმ. ანტონის მონასტერსაც თუმცა ღვთაების მონასტერი ჰქვიან, მაგრამ მისი დღეობა არის 16 აგვისტოს, წმ. ხელთ უქმნელი ხატის ხსენების დღეს)

ბევრია აგრეთვე **კვირაცხოვლის** ეკლესიები. ეს სახელი **კვირაცხოველი** ეწოდება აღდგომის სწორს კვირა დღეს და მიღებული იყო ეს წოდება საქართველოს ეკლესიაში და ერში დამოუკიდებლობის დროს ხალხში ლექსიც კი არის დარჩენილი: „კვირაცხოველო, ცხოველო! შენ სალოცავად მოველო. ჩემს დაჩაგრულსა ცხოვრებას შენი წყალობა მომეო!“ სადაც კი არის ესლა საქართველოში კვირა ცხოვლის ეკლესია, ყველა, რუსთა გავლენით, იწვრებოდა და იწოდებოდა თო ა მოციქულის ეკლესიად. საჭიროა დაუბრუნდეს ამ ეკლესიებს ძველი ქართული წოდება და სახელი.

საქართველოში, ყველას მოეხსენება, ფრიად პატივცემულია წმ. თავარ მოწამე გიორგი, რომლის საქებ სადიდებლად აშენებულია მრავალი ტაძარი, სხვათა შორის ალავერდისაც; ალავერდის წმ. გიორგის ხატის ხსენებაა 14 ენკენისთვის. ეს არ მოსწონება იონა ქაახოს ს. ამდგარა და უმთავრე ი ტრაპეზი ამ დიდებული ეკლესიისა გადაუქურთხე ია **ჯვართ ამადღების** სახელზე, ხოლო ზემოთა სა თულის მღვთის მშობლის ეკლესია წმ. გიორგის სახელზე. მაგრამ ხალხი, სალოცავად მიმავალი ალავერდში, დიდ ეკლესიას ისევ წმ. გიორგით უწოდებს და მაღლა სართულში მღვთი მშობლისად და არა წმ. გიორგისად. საჭიროა აღდგენა ძველი სახელისა, რომელიც დარჩენილია ხალხში. ალავერდის ტაძარი ესლა, რუსთა გავლენით, იწოდება „კრესტოვოზდვ ყენკის ობორო“ ასეთივე ბედი ეწია თბილისის კალოუზნის წმ. გიორგის ტაძარს. ქართლ-კახეთის მთა ბორცვები დაფარულია კალოუზნის წმ. გიორგის ტაძრებით და მათი დღეობა იცის აღდგომის მეხუთე კვირას. ესდორე თუ ეს სვი ექსარხოსს უბრძანებია, საქართველოში ბევრი ეკლესიებია წმ გიორგის სახელზეო, აქვე გვერდით ქვაშეთის ეკლესია არის და მადი კალო უზნი. ამ მღვთის მშობლის შობის სახელზე ვაკურთხოთო და უკურთხევი კიდევ ის კი არა სკოდნ ა დალოცვილს, რომ ქაშუეთობამო დის მენელსაცხებლეთა დედათა კვირიკეს, კალოუზნობა კი აღდგომის მეხუთე კვირას.

ეს ეკლესია დოკუმენტებში იხსენება მრეთის მშობლის დაბადების ეკლესიად. ესეც უნდა ისევ ძველს სახელს დაუბრუნდეს.

მათე

გამომცემელი ქ. ტფილისის ამღვდლოება „ახალ სიტყვის“ სარედაქციო კოლეგიის რწმუნებული დეკ. ქრ. ციციქიშვილი.